ფასი 10 კაპ.

№ 29 (265)

ტარტაროზი

1 აგვისტო 1930 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის უცხოეთში

— მართლაც მატყუარები ყოფილან... გვარწმუნებდენ: მუშებზე დი-

მათი სიტყვა და საქმე

ერთა ლიგაში | **პარლამენტში**

ამერიკის მეთვალყურე

— ბატონებო! მიუხედავად იმისა, რომ თქვენს მიერ ატეხილმა მსოფლიო ომმა, ჩვენ, ამერიკა გაგვამდიდრა, ჩვენ მაინც ნიანგის ცრემლებს ვაფრქვევთ, როცა ისევ წამოიჭრება ახალი მსოფლიო ომის საშიშროება. ამიტომ ჩემი მთავრობის მიერ დავალებული მაქვს წინადადება შემოვიტანო საყოველთაო განიარაღების შესახებ. (ხანგრძლივი აპლოდისმენტი).

— ბატონებო, დემოკრატიული რესპუბლიკა მემარცხენე პარტიებს ისე ესმით, თითქოს მას, დემოკრატიულ რესპუბლიკას არ სჭირია შეიარაღებული ძალა. სწორედ დემოკრატიულ რესპუბლიკაში მარხია ძაღლის თავი. მის შესანარჩუნებლად საჭიროა სამხედრო ძლიერება. ჩვენ სხვებზე უფრო ძლიერი უნდა ვიყვეთ. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება შეიარაღებას უნდა მიექცეს. (ხანგრძლივი აპლოდისმენტი).

ინგლისის წარმომადგენელი

— ბატონებო, დიდი ბრიტანეთი ყოველთვის მზად იყო სრულ განიარაღებისათვის, რომ „ქვეყნათ მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ დამკვიდრებულ იყო. ჩვენი კაცთმოყვარეობა იქამდინაც კი მიდის, რომ შორეულ ჩამორჩენილ ქვეყნებში მივდივართ, არ ვიშურებთ მათთვის არაფერს (ხმა ადგილიდან: არც ტყვიასა და გაზებს) და შეგვაქვს შიგ განათლება. ამიტომ ინგლისი კატეგორიულად მოითხოვს საყოველთაო განიარაღებას. (ხანგრძლივი ტაში).

— ბატონებო, საკვირველი კი არ არის, რომ აქ ვიღაცამ მარცხნიდან პროტესტი განაცხადა ახალი კრეისერის აგების გამო. ეს სავალალო მოვლენაა. და სავალალოა იმიტომ, რომ თვითმპყრობელის დიდი ბრიტანეთის პალატაში ასეთ ამბავს აქვს ადგილი; მოღალატე, ერის მოღალატე ზის პალატაში. ჩვენი ჰეგემონია, სამხედრო ძლიერებაზეა დამოკიდებული ამიტომ წინადადება შემომაქვს ორის მაგიერ ოთხი კრეისერი იქნეს აგებული. (ხანგრძლივი ტაში).

საფრანგეთის წარმომადგენელი

— ბატონებო! მე მგონია, რომ საფრანგეთს ყველაზე უფრო თამამად შეუძლია ილაპარაკოს ხალხთა სიყვარულზე და მსოფლიო მშვიდობიანობაზე. საფრანგეთის პოლიტიკა ისტორიულად მუდამ ასეთი იყო. დღესაც ყველაზე უფრო ხმამაღლა ის გაიძახის: ძირს იარაღი, გაუმარჯოს მსოფლიო განიარაღებას (ხანგრძლივი ტაში).

— ბატონებო! მე არა მგონია, რომ ამიერიდან მაინც ჩვენს სამშობლოში გამოჩნდეს ერის ისეთი მოღალატე, რომელიც წინ აღუდგეს მთავრობას სამხედრო ღონისძიებებში, ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩვენ ძლიერი ვიყვეთ სხვებზე. ამიტომ სახელმწიფოს ბიუჯეტის ნახევარი შეიარაღებას უნდა მოხმარდეს (ხანგრძლივი ტაში).

იტალიის წარმომადგენელი

— ბატონებო. ყველას გახსოვთ. რომ იტალიას მსოფლიო ომში პირველად არ მიუღია მონაწილეობა, რადგან ის ყოველთვის მშვიდობიანობას იცავდა. და თუ ბოლოს ისიც ჩაერია ომში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდა ომი მალე გათავებულიყო. (ხმა ადგილიდან: თუ ვერ გაბედა დროზე გამოსვლა? სასწორის გადახრას დაუცადა!?) ეხლა ხომ ლაპარაკი ზედმეტია. არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი, აი იტალიის ლოზუნგი და წინადადება. (ხანგრძლივი აპლოდისმენტი).

— ბატონებო! ნუ თუ თქვენ დაგავიწყდათ ძველი რომის ძლიერება და სახელი? ჩვენ ისევ უნდა გავხდეთ ყველა სახელმწიფოზე უფრო ძლიერი. ძველად ჩვენი ხალხი იტყოდა: „სი ვის პაცემ, პარა ბელუმ“ (თუ მშვიდობა გინდა, ომისთვის ემზადე),— ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენ. თავიდან ფეხებამდე შეიარაღება. აი ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა. თორემ მსოფლიო ომი კარებზეა მომდგარი. ჩვენ მზად უნდა დავხდეთ, უნდა შევიარაღდეთ (ხანგრძლივი აპლოდისმენტი).

პოლონეთის წარმომადგენელი

— ბატონებო! ვინმეს რომ შეეძლოს ძლიერი ხმით გადასძახოს მთელ ჩვენს პლანეტის ყველა ხალხების გასაგონათ: „ვის გინდათ მშვიდობიანობა?“,—ალბად მთელი პოლონეთი დაწყებული დიდის სახლში მყოფ ჩვილიდან და გათავებული სარეცელზე საიკვდილოთ გამზადებულ მოხუცებამდე,— ყველა ერთხმად შესძახებდა: „ჩვენ გვინდა, ჩვენ მშვიდობიანობა!“.

დასამტკიცებლად ამისა, ვაცხადებთ ჩემი მთავრობის კეთილგანზრახვას: უნდა მოხდეს ისეთი სრული და აბსოლიუტური განიარაღება, რომ ბავშვებსაც კი ჩამოერთვას სათამაშო ხელთოფები! (დაუცხრომელი ტაში და ბრახუნი).

—ბატონებო! ნუ თუ არ იცით, რომ მოახლოვებულია მსოფლიო ომი, რომლისთვისაც ყოველი სახელმწიფო გაფაციცებით ემზადება. ჩვენ ხომ ვერ დავიკრეფთ გულზე ხელს?! პირიქით, ჩვენ სხვებზე მეტი მეცადინეობა გვმართებს შეიარაღებისათვის. ყოველმა მუშამ და გლეხმა ტყავი უნდა გაიძროს... (ხმა მარჯვენიდან: „თუ არ გაიძრობს, ჩვენ გავაძრობთ“. ხმა მარცხნიდან: ალბად მალე თვითონ თქვენ გაგაძრობენ ტყავს“... ხმა ცენტრიდან: „დასცხეთ მაგას“... აურზაური. ხრიალი) აი ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ პოლონეთს სჭირია თავიდან ფეხებამდე შეიარაღება. (ხანგრძლივი ტაში).

ისელი.

თავისებურად გაიგო

— იქ განუწყვეტლათ მუშაობენ, მაგრამ მუშები მაინც კმაყოფილი არიან! ჩვენი მუშები კი რვა საათის სამუშაო დღეს თხოულობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი დელეგატი, რომელიც „სამშვიდობო“ კონფერენციაზე გულწრფელად მოითხოვს განიარაღებას.

ძრწოდე ინგლისო!

ეს ხელი დანით იქნება ვისი,
თუ არა ისევ დიდ-ბრიტანეთის?!
ეს ინგლისია, ლორდთა ინგლისი
და მაჯლაჯუნა ჩვენი პლანეტის.
ოი, ინგლისო, შენ ხარ ვამპირი—
მრავალი ერის სისხლის-მწოველი.
სისხლიანი გაქვს ხელი და პირი;
ზიზღით გიცქერის ხალხი ყოველი.
სკიპტრად გიჭირავს სიკვდილი ხელში, —
შენ გაამრავლე ქვეყნად ობლობა.
გაგიხვევია მიწა შენს ქსელში
და მის სიცოცხლეს სწოვ, ვით ობობა.
თითქოს შენა ხარ კულტურის ბურჯი,
შენ ამ მოტივით იპყრობ სხვის მიწას, —
და თუ აღგიდგა წინ ვინმე „ურჩი“,
რომელიც თავისს მიწა-წყალს იცავს, —
შენ, „კულტურისანს“ მზადა გაქვს: ტყვია,
ავიაცია და კრეისერი.
დამარცხებული ის შენი ტყვეა, —
ტანზე არ რჩება საწყალს კისერი.*)
შენი შვილის თქმა და ირონია
ალბად სულ მალე აგისრულდება,
(მიხვდები, რომ ეს ბაირონია):
შენი დიდება უკვე სრულდება.
ვხედავთ: იღვიძებს აღმოსავლეთი
და დაჩაგრული ყოველი ერი.
აღარ ყოყმანობს, როგორც ჰამლეტი,
იცის, რომ შენ ხარ მოსისხლე მტერი.
ტყავს ვერ გაიტან მათთან ომიდან,
პანღურ-ამოკრულს დაგრჩება ქუდი.
დრო ახლოვდება: შენს მძლე ლომიდან
ხელში შეგრჩება მხოლოდ-ღა კუდი.
ქვეყანა მალე ნახავს შენს ძუნძულს,
თავისთვის წავლენ ყველა ხალხები.
ვერ მოშორდები მაგ ორს შენს კუნძულს,
გამოგეცლება სავსე დახლები.
შენ დღეს მაჰმადით და მის ისლამით
აღმოსავლეთის იმონებ ერებს.
მაგრამ ფონს მაინც ვერ გახვალ ამით
მალე არავინ არ დაგიჯერებს.
ხანტი აზია აწ კარგად ხედავს,
რომ ხსნა არ არის ღმერთს და ალაჰში.
კერპთა დანგრევას მალე გაბედავს,
ნამსხვრევებს დაჰყრის იქვე ტალახში.
ძრწოდე, ინგლისო! აღმოსავლეთი
შენზე ათითებს: „მტერი ის არი!“..
აღარ ყოყმანობს, როგორც ჰამლეტი,
მომართული აქვს შენსკენ ისარი.

ი. ხინველი.

*) საფრანგეთია შენი კოლეგა—
მაროკო რიფთა სისხლით მოლეკა.
აბდ-ელ-ქერიმი მომაგონდება,
და მაროკოზე გული ღონდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდი და მაკდონალდი

ინდოეთის მოძრაობის
მოლალატე განდი—
ინგლისელებს ეფიცება
ერთგულებას ცამდი,

ევაჰრება, ეხვეწება:
მასწავლეთო ფანდი,
რომ ერთ სარმით ინდოეთი
დავცე კოჭებამდი

და როცა ჯილდოს მიბოძებთ,
მყისვე თქვენც მობრძანდით
და განვაგოთ ხალხის ბედი
ისე, ვით აქამდი.

მაკდონალდიც უხვად ჰგზავნის
ფულებსა და ჯარებს
და შუბლ მაგარ მოიდარ ლორდებს
საფრთხეს არ აკარებს

(ან კი რისთვის გაიმეტებს
პორთფელს თავმჯდ რე,
ან მეფესთან რათ დაიხშობს
საწანწალო კარებს)

ჩემბერლენი მისი ქცევით
შორიდან ხარხარებს,
რომ იმაზე უკეთესად
ეს ისვრის ყუმბარებს.

ასე „ძმურად ეხმარება“
კოლონიის მუშებს,
აჯანყებულ მოსახლეებს,
ტყვიებს ისე უშენს,

რომ თუ მასვე არ აყლაპეს,
ცოცხლებს არ გაუშვებს!

უჩინარი.

საერთაშორისო მიმოხილვა კბილის გაკვრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე **გერმანიით** ვიწყებ
ამ **მიმოხილვის გაშლას...**
ქვეყანა შერჩა, მგონი,
მახლას, ჰინდერბურგ, **მახლას!**
შენ, კაიზერის მონა,
დღეს თვით კაიზრობ, **რაღა:**
რეინს დაადგი ფეხი,
რეიხსტაგს—რკინის წაღა!
ოთხმოცდა ოთხი [illegible]
[illegible] სხარტად
და ბიუჯეტი მიეც
ბრიუნინგს განსამარტად.
ფაშიზმით გიღრეინის **გულბოყვს**
„ტებეცე" ესდეკური,
რკინის **მუზარადს** სწყალობ,
ზრახვა გაქვს ეშმაკური.
მაგრამ **ვაი თუ ბედი**
პირველ აგვისტოს **სწყალობს**
და **შენს ჩექმებზე** დეზი
ამაოდ **მუსიკალობს!..**

—:—

ახლა **ინგლისში** მინდა
მოვინახულო [illegible],
მუშურ თაობას თაობს,
მას კი **შეურცხვეს** ფრაკი.
გახუნდა თითქმის **ყველა**
ფრაკსა და ცილინდრს ქვეშით:
ინდოეთს ისახელა
მან თავი სისხლის ნთხევით; ;
ახლა [illegible]ეს **ეოერს**
თოფსა და ტყვიის **მფრქვეველს:**
სოციალიზმად **მუშებს**
უმზადებს სასუფეველს!
თავისუფლებას **ხალხთა**
უმაგრებს ერთა ლიგას:
ძაღლივით **ათრევს** თუ **სდევს**
მეფე გიორგის ციგას!..

—:—

სოციალიზმით იწყო
ადრე **ეყო** თუ **გვიან,**
დღეს [illegible]ზმს **სწყალობს**
მთლად ევროპისას ბრიან!
ვხედავ: **გაჭირდა** ყოფნა
ყველა **მევახშის,** ჩარჩის:
ჯერ **კუჭს** ხომ **უნდა** ყორვა,
მერმე ტანს—ჩაცმა ფარჩის...
ჰო-და **მონახვაც** შვენის
ყველა **ამისთვის** სახსარს,
თორემ ვინ **შიაჩერებს**
მეპრძოლ მუშათა **ლაშქარს?**

—:—

ასე **კაკანებს ბრიანი,**
ჰრაზავს **პარიზის** ქუდლებს
და ადებინებს **კვერცხებს**
ჯერ რუმინეთის დედლებს.
ჰაეროპლანით **გზავნის,**
რომ არ **გალაყდეს** **გზაში,**
თითქოს და **კაროლს** ნება
თვით ღმერთმა **დართო** ცაში!
და **ბუქარესტის** **თავზე**
ეშვება **სახით-მტრედით,**
სჭირს **პრინცის** **სისპეტაკე,**
ფაშისტურ **სითაეხიდით...**

მიიღო ბრატიანუმც
ეს ლალიუტის **ძღვენი...**
გული **მას** **ბილწი** **ჰქონდა**
და **მჭვარტლით** **სავსე** **სხვენი,**
ეს **მეც** **ვიცოდი** **ადრე,**
ვით **მთელმა** **რუმინეთმა,**
არ **მწამდა** **მხოლოთ,** **მეფე**
ციდანც **თუ** **ჩამოხეთქდა!..**

—:—

ამ **დროს** **რა** **ხდება** **გვერდით?**
მე **პოლონეთზე** **ვამბობ.**
ამ **ქვეყნის** **ჭირს** **და** **ლხინზე**
მეც **პილსუდსკივით** **ვდარდობ!**
მაგრამ **ამბობენ:** **პანი**
დასნეულდაო **მძიმედ!**
ვაჰ, **თუ** **სჭირს** **კვლავც** **ის** **სენი,**
რომ **აწვალებდა** **წინედ!**

—:—

და **ერთ** **დღეს...** **ვაჰ,** **თუ** **ქორი,**
გულში **რომ** **ეჯდა** **მარშალს,**
ისიც **კოროლის** **მსგავსად**
ცით **თავს** **დააცხრეს** **ვარშავს?**
თქვენ **როგორ** **ჰფიქრობთ?** **ხალხი**
შეაკრთოს **ამ** **გვარ** **მოხმა?**
რამდენჯერ **მოხვდა** **ესეიმს**
თავში **პილსუდსკის** **ჩექმა?**
რამდენჯერ **პანლურ-მოსმით**
მან **შეიფხანა** **იგი,**
რისიც **ხსენება** **ლექსში**
არ **არის** **დიდათ** **რიგი?**
თუმცა **პილსუდსკის** **მხარეს**
ვის **გააკვირვებთ** **ამით?**
ის **ხომ** **ბოზს** **უხმობს** **სეიმს,**
დღისით, **არა** **თუ** **ღამით!..**

—:—

მაინც **ამბავი** **მომდის,**
რაღაც **ძნელ** **დასაჯერი,**
ლუნაი—ბალტიის **მხრით**
რომ **აფუსფუსდა** **მტერი.**
ამბობენ: **ჰკრავსო** **კავშირს!**
ესეც **ბლოკია,** **ალბათ!**
ვაი **ესოდენ** **ბლოკებს,**
დასხმულს **ჰაერში** **ჭარბათ!**
საპნის **ბუშტების** **მსგავსად**
დასქდა **და** **დაიბზარა,**
ვინც **კი** **საბჭოთა** **კავშირს**
საზღვარზე **გაეკარა...**

ჰაზარა.

დატყვევებული მშვიდობიანობა

— კიდევ იტყვიან, რომ ჩვენ მშვიდობიანობას არ ვიცავთ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული იუმორი

პუანკარე-ომი

— მე გახლავარ პუანკარე,
ხალხთა სისხლი ბევრი ვღვარე, —
მაგრამ მაინც არ ვიკმარე,
კიდევ მინდა ომი მწარე! —

ასე მღერის იხეთივე დაბერებული ქოფაკი, როგორც თვით იმპერიალიზმი და კაპიტალი. იგიც სამარის პირზეა, როგორც თვით იმპერიალიზმი და კაპიტალი. ჯერ კიდევ არ ფიქრობს ეს ბებერი მაჯლაჯუნა ქვეყნის დატოვებას და ამბობს:

— რა მაჩქარებს! მალე იქნება მსოფლიო ომი. ბარემ ამ ბედნიერებასაც დავუცდი და ვიგემიბ...



მუსოლინი

მსოფლიო ფაშიზმის მამამთავარი და ბელადი. მეორე ინტერნაციონალის, ე. ი. სოც. დემოკრატების, ანუ მენშევიკების პირმშო შვილი. (მუსოლინი წინედ სოც.-დემოკრატი იყო). მენშევიკებთან შედარებით მუსოლინს ის დადებითი თვისება აქვს, რომ ის არ მალავს თავის შავ ზრახვებს და აშკარად მოქმედობს. მენშევიკები კი — მალავენ, მაგრამ „მახათი ტომარაში არავის დაუმალია". ალბად მუსოლინი მალე გახდება ოფიციალურად მთელი მეორე ინტერნაციონალის ბელადი. (ფაქტიურად აღარაფერი უშლის ხელს).

პილსუდსკი

ესეც თითქმის იმავე ბუდიდან არის, რომლიდანაც მუსოლინი, ე. ი. მეორე ინტერნაციონალიდან.

მარშალს ჩამოფხატულ - ჩამოშვებული ულვაშები აქვს. თურმე ამის მიზეზი შემდეგია:

— ბატონო მარშალო, — ჰკითხეს, ერთხელ პილსუდსკის, — რატომ ყოველთვის აგრე გაქვთ ულვაშები ჩამოშვებული?

— როცა საბჭოთა კავშირზე ვფიქრობ, ყურები ძირს მეყრება და ულვაშებიც მათ ჰბაძავენ, ვნერვიულობ, ხასიათი მიფუჭდება! — უპასუხა მარშალმა.

აი, შემთხვევა, როცა ყურები და ულვაშები პოლიტიკურ ბარომეტრის როლს ასრულებენ.

რომის პაპი

რომის პაპი... რომის პაპი...
მას უნდოდა ჩვენი ყლაპი;
შევაჭამეთ ტყემლის ტყლაპი.
და დავასხით მას თავს ლაფი.

სურათზედაც ეტყობა, რომ „ქრისტეს რწმუნებულს" მიწაზე „ემჟავა" ჩვენი „ტყემლის ტყლაპი" და კბილები მოეკვეთა. პირდაპირ შემოხედვასაც ვერ ბედავს, მოღრეცით გვიცქერის.

ჩან-კაი-ში

— ახლოვდება მსოფლიო ომი! რა კარგია!? — ფიქრობს და იცინის ჩან-კაი-ში.

— უყვარს სისხლი... ხალხის სისხლით არის წყურბელივით გაბერილი. ხალხის მოღალატე ჩვენთვის ყოველთვის იქნება ერთგული ლაქია! — იმედს ამყარებს იმპერიალიზმი ჩან-კაი-შზე აღმოსავლეთში.

უვარგისი „ყუმბარები"



— რა უვარგისი ყუმბარებია, ერთმაც ვერ მიაღწია მიზანს.

ნიღაბოსანი



მენშევიკი (მუშებს):—ამხანაგებო, დღევანდელი დღე ანტი-იმპერიალისტური და ომის საწინააღმდეგო დღეა.

მენშევიკი (კაპიტალისტს):—ბატონო ჩემო, მართალია ერთი დღე მათია, მაგრამ სამაგიეროდ 364 დღე წელიწადში თქვენია.

ДАФНИС ТОТО

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ის იჯდა კაბინეტში და ფიქრობდა. მეკარესათვის ნაბრძანები ჰქონდა—არავინ შემოეშვა.

მშვიდობიანობის კონფერენციიდან ახალ დაბრუნებული იყო და შეიარაღების გეგმას ამუშავებდა. (კონფერეციაზე მიიღო ასეთი შთაბეჭდილება).



— მშვიდობიანობის ანგელოზი მობრძანდა და თქვენი ნახვა სურს!—მოახსენა მსახურმა.

— ფუი ეშმაკს! მომაბეზრა თავი... შემოეთრიოს! —გაბრაზდა ის და კაბინეტში ბოლთას ცემა იწყო.

2. ღიმილით შეპოვიდა მშვიდობიანობის ანგელოზი მადლობის მოსახსენებლად კარგი სურვილებისათვის.

ხელში ახლად მოტეხილი დაფნის ტოტი ეჭირა მწვანე ფოთლებით. მასპინძლის მრისხანე სახემ და დახვედრამ, შიშისაგან იქვე გააქვავა ის.

— ეს დაფნის ფოთლები კარგია ხარჩოში; მშვენიერ გემოსა და სუნს მისცემს. მხოლოდ ამისთვის არის გამოსადეგი!—და მასპინძელმა ტოტი ხელიდან გამოსტაცა, ფოთლებს წყვეტა და ადუღებულ ქვაბში ჩაყრა დაუწყო.

ხელში მხოლოდ გაფცქვნილი ტოტი შერჩა, რომელსაც მოქნილებას უსინჯავდა.

მხოლოდ ეხლა გამოჩნდა მის სახეზე ღრანჭ-მოღრეცილი ღიმილი, რამაც კიდევ უფრო დააშინა აკანკალებული მშვიდობიანობის ანგელოზი.

— ასე მოგიხდება შენ! ეგებ ჭკუა ისწავლო. მხოლოდ ამისთვის არის გამოსადეგი ეს დაფნის ტოტი!—და მან სტუმარი ამოიჩრა ლაჯებში და რბილ ადგილას დასცხო მისივე დაფნის ტოტი.

4. ანგელოზის კივილი არავის ესმოდა, გარდა მეკარისა, მაგრამ ეს უკანასკნელი რას გაბედავდა!

საწყალ ანგელოზს ცემისაგან სულ დაუწითლდა მთელი სხეული. როცა მასპინძელმა სტუმრის ცემით გული იჯერა, ტოტი ნამტვრევებათ აქცია.



— გაეთრიე აქედან და ამიერიდან ჩემმა თვალმა არ გნახოს!—მიაძახა მან მშვიდობიანობის ანგელოზს, რომელიც მის მიერ პანღურამოკრული ტკივილებისაგან ძლივს ჩადიოდა კიბეზე დარცხვენილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეღავათი

ჩან-კაი-ში: — რა კარგია, რომ ჩვენი ხალხი გრძელ თმას ატარებს! თოკის ყიდვა ალარ მჭირია—თავისივე თმეგით ვკიდებთ და ვახრჩობ!

წერილი ოზურგეთიდან

სალამი კალისტრატე!

მივიღე შენგან გამოგზავნილი წერილი.

ოზურგეთის გეკლის შესახებ შენთვის არაფერი მომიწერია. გეკლის გამგე კოლია გოლოლიშვილი ოთხი საათის მაგივრად, რვა საათზე ძლივს გვაღირსებს დაწყებას. (საათს კი ატარებს ოჯახ-დაქცეული, მარა მის ჭკუაზე აქვს მომართული).

იმავე ბაღში არის საზაფხულო „მუშაობა“ თეატრი. მუშათა, ბიჭო, იმიტომ ჩავსვი ბრჭყალებში, რომ ბილეთების ფასები უზარმაზარია, ე. ი. არა მუშური. (კიდევ კარგი, რომ წარმოდგენები არ მიდის!) შოთა ვაშალომიძე ქე ღებულობს ჯამაგირს და თეატრის მუშაობა რა ენაღვლება.

ჩემო კალისტრატე, ჩვენ, რომ რეფისორის გამოგზავნის შესახებ მოგწერეთ, ინჟენერი რეიზა გამოგვიგზავნე? ეხლა ქრისტეფორე (ხომ იცნობ „ეპოს“ გამგეობის თავმჯდომარეს?) სასადილოს აშენებს ბაღში. ასე, რომ ეხლა არა და ცოტა ხანს შემდეგ გეხიამოვნება აქ ჩამოსვლა. ყველაფერი ერთ ეზოში მოხდება: წააგებ ნიზლეცს გეკლზე, გადიხდი იქვე სასადილოში და საღამოს გულის გასართობად იქვე შეხვალ თეატრში.

ფულები ბლომად წამეიღე და სხვა ჩვენი საქმე იყოს.

ალიაფი.

„ევროპაში სოციალ - შეთანხმებლების მეოხებით ხშირათ მარცხდება მუშათა გაფიცვები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოც.-დემოკრატი:—მოგახსენებთ თქვენი უმოკრჩილესი მონა, რომ გაფიცვები ჩავშალეთ!

მენშევიკის სიყვარული

ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი.
მიყვარს მინისტრის ფორტფელის
ხელში დაჭერა, ტრიალი;;

გასეირნება ვილლებში,
ავტოთი ჩქარი სრიალი.
აბრეშუმ-ატლასებისა
ტანისამოსის შრიალი.

ფეხზე—ლაიკის ტუფლებსა
გაჭქონდეს ლაპლაპ-კრიალი,
და თავზე კოთხო ცილინდრი
ალმასზე უფრო ბრჭყვიალი.

მიყვარს ჯიბეში ფულების
ჩაწყობა, მათი ჩხრიალი.
ოქროს და ბრილიანტების
პეშვში დაჭერა, ბზიალი.

არ მიყვარს პროლეტარების
წითელი დროშის ფრიალი.
მიყვარს ჩვენს პოლიციელთა
თოფ-ზარბაზნების გრიალი.

მიყვარს გაფანტვა მუშების,
იმათ ცოლ-შვილთა წრიალი.
დემონსტრანტების სისხლისა
ქუჩებში წითლად ფრიალი.

მიყვარს მგზავრობა ეენევას,
ერთა ლიგაში ყიალი;
იქიდან დაბრუნებულსა—
ჩვენს პარლამენტში ღრიალი.

მიყვარს ჩემს ხელ-ქვეითთათვის
თვალების რისხვით ბრიალი.
მუშათ—ბინების გაჩხრეკა,
იმათ ოჯახში ხრიალი.

მიყვარს კეთილი ცხოვრება,
ქალებში ღამით თრიალი;
მათთან—ქეიფი, დათრობა
და იმათი ხმა წკრიალი.

მიყვარს ტანგო და ფოქსტროტი,
ქალთა კაბები ტიალი.
მათი ცეკვა და თამაში
და მათი ცრემლი ცქრიალი.

ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
ეს არის ჩემი ტრფიალი.
მიყვარს „კეთილი ცხოვრება“,
პორტფელის ხელში ტრიალი.

რი-ტინ-ტინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე „უსმენენ“ რენეგატებს

ერთგული დარაჯები

1 აგვისტოს იქნებოდა დილის 4 საათი, რომ ევროპას სხვადასხვა ქალაქებში ერთ და იმავე დროს რამდენიმე დიდმა ადამიანმა ქუტა თვალები. რომში — მუსოლინმა, ვარშავაში პილსუდსკიმ, ჰელსინგფორსში — სვინხუვუდმა, ბერლინში — ცერგიბელმა, პარიზში — კიაპმა და ლონდონში — ხინგმა. ყველა მათ თითქო რადიოთი იყვენ შეპირებული ერთად გაახილეს თვალები. ყველას ერთ და იმავე დროს ერთმა აზრმა გაუელვა თავში. ყველას მოაგონდა, რომ დღეს **პირველი აგვისტო იყო.** ყველანი ერთად წამოდგენ ლოგინიდან და საცვლებისამარა სარკმელს მიადგენ და ქუჩას გადახედენ. ყველას სახეზე ღიმილმა გაუთამაშა, ყველამ სიამოვნება იგრძნო.

— მოწინააღმდეგე პარტიები დიდი ხანია დავასამარე; მთელი იტალია სასაფლაოს დავამსგავსე, ყველა სასიცოცხლო ძალები გავანადგურე; ერთგული პოლიციელები მედგრად იცავენ ქუჩებს... განა გაბედავს დღეს ვინმე გამოსვლას? — ღიმილით ჩაილაპარაკა მუსოლინმა და ქუჩებს თვალი მოავლო. ქუჩებში კბილებამდე შეიარაღებული პოლიციელები იდგენ. მუსოლინი მოშორდა სარკმელს დამშვიდებული ჩაგორდა ლოგინში და ტკბილად ჩაიძინა.

— განა ვინმე გაბედავს დღეს გამოსვლას? — ჩაილაპარაკა პილსუდსკიმ და ქუჩას მოავლო თვალი. ვარშავაშიც არაჩვეულებრივი სიწყნარე იყო, ქუჩებში მარტო პოლიცია და ჯარი მოსჩანდა, პილსუდსკიც დამშვიდებულად ლოგინში ჩაგორდა.

— მთელი ფინლიანდია ფაშისტების ხელშია. კომუნისტი საბჭოთა კავშირის საზღვარს გავაცილეთ. დღეს ვერავინ გაბედავს გამოსვლას! — ჩაილაპარაკა სვანხუვუდმა და ისიც ტკბილად ოცნებას მიეცა.

— ჩემთან ბისმარკი ვინ არის! მას თუ რკინის კანცლერს ეძახდენ, მე ფოლადის ვარ. ვფიქრობ დღევანდელი დღე მშვიდობიანად ჩაივლის და თუ ვინმემ გაბედა მშვიდობიანობის დარღვევა, ჩემმა პოლიციელებმა სროლა კარგად იციან! — ჩაილაპარაკა ცერგიბელმა (ბერლინის პოლიციის უფროსი).

— მთელი საფრანგეთი ფეხზე დგას. პოლიციელები და ჯარი დარაზმულია. ყოველივე გამოსვლას დღეს ძირშივე ჩავკვლავ — ჩაილაპარაკა კიაპმა. (პარიზის პოლიციის უფროსი).

— ლონდონი ყალყზე სდგას, მთელი ქვეყანა გავსწმინდეთ კომუნისტებისაგან. საბჭოთა წარმომადგენლობას სასტიკ თვალყურს ვადევნებთ. ფიქრი არ არის, რომ დღეს რამე მოხდეს — ჩაილაპარაკა ხინგმა (ლონდონის პოლიციის უფროსი).

ყველაფერი ეს ერთ და იმავე დროს მოხდა. ეს ექვსი დარაჯი კაპიტალიზმის გულდამშვიდებული ჩაგორდა ლოგინში და ტკბილ ძილს მიეცა.

ვერ გამართლდა კაპიტალიზმის დარაჯების იმედები. ვერ გასჭრა მათმა ხერხმა. ევროპის ყველა ქალაქებში მოხდა მუშებისა და გლეხების დიდი დემონსტრაციები, სადაც გაიძახოდენ „ძირს ომი“... გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“.

საღამოზე ამ ერთგულმა დარაჯებმა მთელი ღის ომით დაქანცულებმა რადიოთი ამცნეს ერთი - მეორეს, თუ როგორ დამთავრდა მათ ქვეყნებში დემონსტრაციები და რა ზომები იხმარეს.

მახათი.



რომის პაპი:—ძალიან ვიზერები, მაგრამ მათ მაინც არ ეშინიათ!

ჯვარი—სანიშნო

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომის პაპი: — საუცხოვო სანიშნო ყოფილა ჯვარი.

(„ბეზბოჟნიკი“-დან)

ერთმანეთს კონფერენციაზე შეხვდენ.

ესენი იყვენ: ინგლისელი, ამერიკელი, ფრანგი, იტალიელი და სხვა ჯურის კაპიტალისტები. საკითხი განიარაღებას შეეხებოდა.

— სპორტის გულისათვის, თორემ მე შეირაღებაზე საქმე არა მაქვს, — დაბეჯითებით ამბობდა ამერიკელი. —ამას გარდა, ხომ იცით, გარშემო ზღვები გვაკრავს და გემები ამისთვის გვესაჭიროება. ისე იარაღს მხოლოდ სპორტის გულისთვის ვამზადებთ.

— ჩვენც ეგრე არ ვართ?—წამოიძახა ინგლისელმა,— ჩვენც შუა გულ ზღვაში ვცხოვრობთ და უგემოთ ცხოვრებას რა გემო აქვს. ამას გარდა, თოფ-იარაღიც გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ, ნადირი და მხეცი ათასია...

— ასე ვართ ჩვენც, — თავაზიანათ უპასუხა ფრანგმა, — მართალია, ზღვა ბევრი არ გვაქვს, მაგრამ ხომალდიბს მაინც ვაშენებთ, უმთავრესად ჰაეროპლანებს ვაგებთ... რასაკვირველია, არა ომისთვის... ისე, კარგია ჰაერში სეირნობა...

— გიშველათ პაპამ, — წამოიძახა იტალიელმა, — ჩემი სათქმელი თქვენვე სთქვათ, ჩვენც ეგრე ვართ, სპორტის გულისთვის ვამზადებთ იარაღს, თორემ ისე განიარაღების მომხრე ვართ...

მაშ მოდით განვიარაღდით, ხომ იცით, იარაღს ომის სუნი უდის, — ველარ მოითმინა ვილაცამ.

ყველა აიძურწა:

— კი, როგორ არა, აგერ ინგლისი განიარაღდება და მერე ჩვენც ავიყრით იარაღს, — წარმოსთქვა ამერიკელმა.

— არა, ჯერ თქვენ და საფრანგეთი განიარაღდით, ჩვენ მერეც მოვასწრებთ, — აჩქარდა ინგლისელი.

— კი, კი შენ ნუ მომიკვდე, — წამოიყვირა იტალიელმა, — განიარაღდით ყველა და მერე ჩვენც დავყრით ფარ-ხმალს...

— დაყარეთ, დაყარეთ ეგ ზარბაზნები, რა ეშმაკათ გინდათ, ჩვენ მერეც მოვასწრებთ, — ბანი შეაწია იაპონელმა ლიპიანმა.

— არა, ჯერ თქვენ!..

— თქვენ, თქვენ!..

— ჯერ შენ დაყარე იარაღი!

— გიჟი ვარ იარაღი დავყარო?

— მაშ მე ვარ გიჟი?

— შენ თითონ ხარ ვირისთავი!

— ვირიც ხარ და მამაძ...

— წადი შე ქეციანო!..

ასეთი მუსაიფი მოყვა განიარაღებაზე ლაპარაკს. ეს ლაპარაკი უხმო იყო, დელეგატები გულში იგინებოდენ ზემოხსენებული სიტყვებით, თორემ ისე პირიდან შაქარი გადმოდიოდათ.

კონფერენციის წევრები დიდის ზრდილობით გამოეთხოვენ ერთმანეთს. განიარაღება შემდეგისთვის გადასდვეს.

— ღმერთი გიშველით, მე იარაღს ავიყრი, — ამბობდა გზაში ამერიკელი.

— თქვენმა თავის გახეთქამ, განიარაღებას მოვახდენ, — ბუტბუტებდა ინგლისელი.

— აპრუწუწუნ თქვენს საქმეს, რავა დავკარგავ ერთ ტყვიას! — სთქვა ფრანგმა.

— მივიდე სახლში და მე ვიცი, როგორ განვიარაღდები, — დაიმუქრა იტალიელი.

განიარაღებულმა დელეგატებმა ყოველ შემთხვევისთვის ქვებიც ჩაიწყვეს ჯიბე-უბეებში და ზას გაუდგენ.



ჩვენი პასუხი

მელითონე.

ჩვ. მსუბუქი კავალერიის **ყუმბარა** **თავდასხმა რკ. გზაზე**

სტატისტიკოს სოლოდილოვს
თავი მოაქვს როგორც პაპსა;
იჩენს ბიუროკრატობას
და ეწევა საბოტაჟსა,
ის ძველ რუსეთს ათაყვანებს,
ელოდება რეაქციას,
ჟესტი უნდა გამოვაბათ
მას და იმის მომწყობ „ძიას“.
—:—

ვასილიევს ვინ არ იცნობს
აგენტია სტაჟიანი.
მეგობრობდა მას ჟანდარმის
პოლკოვნიკი ფაშვიანი.
ის აგენტი იყო ძველად
ნიკოლოზის „ახრანკისა“
დღეს კი... დღეს კი სამასგანის
აგენტია გზაზე ისა.
—:—

გზა სიარულით ილევა,
სიპი ქვა — წყალთა ჩქერითა.
და კაპანაძე „ემესის“
დანგრეულ საქმის ცქერითა...
წავიდა ზამთარ-ზაფხული
და ისევ მოდის ზამთარი, —
მაგრამ არ მოდის წეს-რიგში
მისი საწყობის დავთარი.
—:—

ბრატკო „ბუხი“ ფინგანისა
მიჰქრი-მოჰქრის როგორც ლანდი
და დალუქულ ჩანთით მოაქვს
დუქინობით კონტრაბანდი.
—:—

აქვს სამასალო რკინის გზას
თბილისში განყოფილება,
რომელშიც ათეულობით
ბუდობს „უმანკო“ ქმნილება.
ერთმა ასეთმა ხეპრობით
სულ ყველას გადაამეტა:
ვილაც უვიცი გურჯაანს
დანიშნა „მემანქანეთა“.
ეს „მემანქანე“, იცნობდეთ
სანდლერი არის გვარადა;
უნდა ავბარგოთ სანდლერი
„ბებიით“ აწ და მარა

ინჟენერ კალატოზოვსა
ვინ შეედრება განა.
უყვარს გზის ხარჯზე ოჯახის
გადაყვან-გადმოყვანა.
მონაგონ გადასაყვანით
ფულები ჩაიჩხრიალა
და მითი სპეცმა რკინის გზის
სალარო გაატიალა.
„პატიოსანი“ კაცია,
უჭრის ჭკუა და გონება,
მიითვისა და გაყიდა
მან მუშის გამოგონება.

ალრიცხვგანის ინსტრუქტორი
ნურიჯანოვი ნურიჯან
ბურჟუაა.... სოცშეჯიბრზე
უარს ამბობს „გულიმჯან“.

ხონის რამე რუმე

„გემო-კვების“ თავმჯდომარემ
პროტექციით დასვა ნინა,
დახმარება გაუწია,
მოუნახა კიდევ ბინა.
სახანძრე რაზმს რომ განაგებს
დანგაძეა მგონი გვარად,
მუშაობა აღარ გვარგებს
მე მგონია ამდაგვარად.
სახლი როცა დაიწვება,
გაიღვიძებს მხოლოდ მაშინ,
ცარიელი ბოჭკით მიდის,
(გამოდგება ნეტა რაში?)
ეხლა თვალი გადავავლოთ
ახალ გახსნილ საკანდიტროს,
მიკვირს რათ არ აცივებენ
ლიმონათსა, ან-და სიტროს!
შიგ ქალები მსახურობენ,
რიცხვით არის მგონი ხუთი;
საქმისათვის მათში არც ერთს
მოცლა არ აქვთ ერთი წუთით.

დ. ხონელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟორესი, რომელმაც 1914 წელში ხმა აღიმაღლა იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ, რისთვისაც ის მოჰკლეს კაპიტალის აგენტებმა.

ბათომი
სადგურის კანტორა

ვალოდია:—რა გნებავთ?

მოქალაქე:—დახმარების ფული.

ვალოდია:—ფული ჩვენაც კი გვინდა, ბიძია, მარა სად არის. ისე ეს მე არ მეხება. მიმართე მდივანს.

მდივანი:—გვარი კაცო, თქვენი გვარი? ჰააა გიცანი, გიცანი; „ტარტაროზ“-ში რომ მუშაობს შენი გვარის კაცი, ის რა არის შენი?

მოქალაქე:—ბიძაშვილი (თავისთვის) ეგებ დროზე გამომიწეროს.

მდივანი:—მობრძანდით სამ საათზე და მიიღებთ, აბა, ამხანაგებო, ჩაისათვის მოვემზადოთ.

ყველანი:—კრუშკაა ეს თუ ქვევრი (იცინიან). იმის ჩაი ჩემმა მტერმა დალიოს.

პირვ. მემანქანე ქალი:—გოგო, იგი მოდის შენ რომ იცი! (ერთმანეთს თვალს უშვრებიან).

მეორე მემანქანე:—ვინ ცაე? ააა! (იპუდრება).

ტეხნიკოსი:—სალამი გინაცვალე... სხვა რას შვრებით!

მოქ.:—ძმაო, მატარებელზე არ დამარჩინო, უკვე სამს გადასცილდა.

მდივ.:—რაო, ვერ გავიგონე (მომცინარი) გაჩერდით კუკლებო, თორემ ეს კაცი ტარტაროზისტია და ტარტაროზში გიკრავს ყველას თავს.

ქალი:—ჩვენ ვმუშაობთ (წყრომის თვალით გადახედავს მოქალაქეს).

მოქ.:—ამხანაგო, როგორ მოვიქცე? აღარ დაადგა იმ ფულის გამოწერას საშველი?

მოქ.:—ფუ, ასეთ მუშაობას. (გაჯავრებული გადის).

მდივანი:—ბებია ჩემთან წასულხარ (იცინიან).

გრიხი.

ერთ თვეში
(ნამდვილი ამბავი)

თქვენ შეიძლება ვერ იცნობდეთ ზაქარიას. ის გახლავთ მუშკოოპის № 483 მაღაზიის გასტრონომიულ სექციის თანამშრომელი.

თუმცა ზაქარია საქმეებს გულგრილად ეკიდებოდა და ვერაფერ აქტივობას იჩენდა, მაგრამ სამაგიეროთ მის დაწინაურებაზედაც არავინ ზრუნავდა.

ზაქარიას ერთი ნაკლი კიდევ ჰქონდა: სამსახურში მოდიოდა გვიან და ადრე ბრუნდებოდა. ბევრჯერ ჰქონდა „უკანასკნელი გაფრთხილება“ მიცემული, მაგრამ, რომ იტყვიან ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, სწორედ ისე ემართებოდა მასაც.

მიუხედავათ ამისა, ერთ მშვენიერ დღეს ზაქარია სულხანიშვილს (ნამდვილი გვარია) ბედმა გაუღიმა.

— პატივცემულმა პროტექციამ ხავერდებით მორთული რბილი სავარძელი მიართვა: მაღაზიის გამგე შვებულებაში იყო წასული და ზაქარია დატოვებულ იქნა მის ადგილას.

ამ ამბით მისი ოჯახიც გამხიარულდა.

თუ აქამდე ცოლი ყოველდღე ეჩხუბებოდა, ეხლა კისერზე ხვევნით ელერსებოდა.

— რას მიქვია ერთი თვით დაწინაურება, მაგრამ ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგია. აწი მე ვიცი? — ფიქრობდა ზაქარია და საქმეებს „ერთგულად“ აკეთებდა.

ვინ მიხვდებოდა ამ „მე ვიცი“-ში რას გულისხმობდა ზაქარია.

შვებულებიდან დაბრუნებულმა გამგემ, როდესაც მაღაზიას რევიზია გაუკეთა, აღმოაჩინა 2.000 მანეთის დანაკლისი.

ამ საქმემ ზაქარია „გაათავა“.

— საქონელი გაფუჭდა, თორემ როგორ შეიძლება ერთ თვეში ამდენი დანაკლისი! — იმართლებდა თავს ზაქარია.

ყოველგვარი მხედველობაში იქნა მიღებული, მაგრამ 2000 მანეთს კაპიკიც არ დააკლდა. საქმემ სისხლის სამართლის ყურამდე მიაღწია.

დღეს ჩვენი ზაქარია გამსახლში ზის.

ძირულელი თალა.

სხდომა



„სამშვიდობო“ კონფერენციაზე



პუანკარე, რომელმაც 1914 წელში ხმა აღიმაღლა საფრანგეთის იმპერიალიზმის დასაცავად, რისთვისაც ის იმპერიალისტებმა რამდენჯერმე აირჩიეს პრემიერად.

სამტრედია
რქ.-გზის დამზღვევ სალაროში

1-ლი ქალი:—შვილო, მოლარე მოვა დღეს?

ჟორა (მოანგარიშე): — შეიძლება არ მოვიდეს, რადგან სამი დღის წინად ქუთაისში იყო და დაღლილია.

მე-2 ქალი:—ვალოდია, წიგნაკი მზად არის?

ვალოდია:—კი დუშკა, მზად არის, ტოლკო პოდპისა ნეტ.

მე-2 ქალი:—კაკ ნი სტიდნო ვალოდია! აბიშჩალი ნე სდელალი.

ვალ.:—მაცალე, ბოშო, და ახლავე მოვაწერიებ თაიმჯდომარეს ხელს.

ქალი:— დედა, შვილო, ჩემიც წაიღე, მოაწერიე, თვარა თო იოირსა მოსვლა, ფულს არ მომცემს.

„ვალოდია:—როგორ შეიძლება ახლა ხელის მოწერა, როდესაც თავმჯდომარის კრება აქვს, ბავშვები ხომ არ ხართ, მეითმინეთ პატარა და ყველანი წახვალთ, მოლარე სულ ერთია მაინც არ მოვა; ავათაა გაიგეთ! (გადის და მიაქვს იულიას დაზღვევის წიგნაკი).

ხმები:—მოდის მოლარე, მოდის იოსება მოაქვს ფული. ძლივს არ გვეღირს! !—უკვე 12 საათია.

მუშა:—ამხანაგო მოლარე, სამი დღის ავადმყოფობის ფული მეკუთვნის და როდის მომცემ? უკვე ორი თვე დავდივარ.

მოლარე:—მოითმინეთ. რა ამბავია, დავისვენო, რაც გეკუთვნით მიიღეთ. ჯერ უნდა წავიღო ბანკში ფულის მისაღებათ. მალე დავბრუნდები დამშვიდდით. (მიდის).

ჟორა (ფანჯრიდან):—მოლარეს ნუ ელოდებით, აწი აღარ მოვა. ფული დაგვიანებით მიიღო ბანკიდან. ტელეფონით შეგვატყობინა. ხვალ ნუ მოხვალთ, გამოსასვლელი დღე აქვს, ზეგ მოდით (იმალებიან ფანჯარაში).

ს. ხოჯა—ევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო სინამდვილეში

საბჭოთა ოლქების თეატრებში

ხაზიფხ. ეთერი
(ყან. ოკ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
ამერიკული კომედია
მხიარული მეზობლები
პროგრამის გარეშე
ნატახტარის წყალსადგური.

ხაზიფხ. ბულ
დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
მეორე კვირა
ეკვირილი ლამეში
პროგრამის გარეშე
თურკესტან-ციმბირის რკ. გზა

ბაკურიანი (ყოფ. არფახტო)
I სეანსის დასაწყ. 7 ს.
ბლიუმენტალ-ტამარინა და ბისტდაკოვი მხატვრ. სურათში
თქვენი სადღეგრძელო
პროგრამის გარეშე
საბჭოთა კინოს ჟურნალი.

ფსტრადაზე ოლლეტ. მა ქსიმოვიჩის და იუმორ. ანტონოვის გასტროლები

კოლო-მჭერია

ათასჯერ დავიწყეკლე ბედი, რომ ბუხებამ სინდიოფალად რად გამაჩინა ქეთქი, მაგრამ ეს ჭირი თურმე მარტოხელი ყოფილა.

ივადექი რკ. გზის დირექციას. ეს რა კულაკი... უკაცრავად, კულაკი კ[illegible], რა ბიუროკრატი ყოფილა ინჟენერი ჟურდუმოვი. დაჯდომია კუნსავით ამხ. ციმაკურიძის გამოგონებას და ვაკრობს: „თუ მინდა გამოვჩეკ, თუ არა და, წადი „ერკაიშიო".

—:—

აქედან პირდაპირ რაიონის კანტორაში მოვხვდი იმისთანა შენსა მტერს, რაც მე იქ ვნახე. რეორგანიზაცია მიდისო, და მაგიდების შეჯგუფება ხდებაო (ასე ესმით რეორგანიზაცია).

ავისხი თოფ-იარაღი, ბადე, გიდროპულტი, ნასოსი, პრობირკები, ბამბა, შუშით ხსნარები, ტომრები, გალიები, ბიდონით მაზუთი, ერთი ფუთი ქინაქინა უამრავი რვეულები, ანკეტები, ერთი ოციოდე ფანქარი, ტოპოგრაფიული რუქები და გავსწიე სამუშაოდ.

იმისთანა ნანადირევი დავბრუნდი ყარაიაზიდან, რომ ჩემი უმფროსი ამბ. სიმონი ჩვეულებრივზე უფრო გახარებული დამირჩა, უნდა გენახათ იმოდენა ექიმების „ტახცობა", როდესაც ტომარას თავი მოვხსენი და ერთი სამოცი ვეებერთელა კუ იატაკზე დავყარე.

— ყოჩაღ ჩვენო ახალო კოლო-ჭერიავ! — შემაქეს ექიმებმა.

ხაზიფხულო **კალანი**
I-ლი სეანსის [illegible]
უცხოეთის კომედია
ნამდვილი ჯენტლმენი
მალე „ხამი ჯიმი"

დაზაძრთდა. მიბრძანეს: — ეხლა კოლოები უნდა დაიჭიროო. ზამთარში კამეჩიც კი მოკუნტულია და კოლო სად იქნება!

ჩავედი სადგურ საგარეჯოში. სამი დღე იქ დავყავი. სირცხვილით ვერავის გაუმხილე ჩემი ამბავი.

ბოლოს ისევ დარაჯ ვასოს გაუმხილე.

რა გამიხარდა რომ ბოსელში კოლოთა დაძინებულ გუნდს წავაწყდი. ყველანი დავიჭირე და ტფილისისაკენ მოვკურცხლე.

არ იკითხავთ რა ძვირი ყოფილა კოლო, თითო კოლოში 15 კაპ. გამომიწერეს.

გავიჩინე აგენტები: წნორის წყალზე— გიორგი ანთიძე, გურჯანში — გულიკო, თელავში — ვალოდია ნავრუზაშვილი, საგარეჯოში — ვასო ქათამაძე, ყარაიაზში — ტალმაჩოვი, გარდაბანში — კობეშავიძე, და სამტრედიაში — თედო.

ვიჭერთ კოლექტიურად და ფულსაც კოლექტიურად ვინაწილებთ.

თუ კარგად ვიქენით, მალარიასთან ბრძოლაში ხუთ წლიან გეგმას 3 წელიწადში შევასრულებთ.

სინდიოფალა.

ძაღლი ყეფს ქარავანი მიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

—დეე, მათ იარაღი აჟღარუნონ; ჩვენ კი ჩვენი საქმე — აღმშენებლობა განვაგრძოთ!